2022 წლის ანგარიში (განათლება,კულტურა,ახალგაზრდობა)

-ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლების მიზნით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის ორგანიზებით, მუნიციპალიტეტის სახვითი ხელოვნების გალერეაში საბჭოთა ოკუპაციის კვირეულისადმი მიძღვნილი საგანმანათლებლო პროექტის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეთათვის, გაიმართა დოკუმენტური ფილმების სტუდიის მიერ შექმნილი ფილმის ,,სატელეგრაფო ოკუპაციის" ჩვენება, სადაც დეტალურადაა გადმოცემული ბოლშევიკური რუსეთის მიერ 1921 წელს საქართველოს ახალგაზრდა სახელმწიფოს ანექსია. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში საგანმანათლებლო ღონისძიებაში მე-9, მე-10, მე-11 და მე-12 კლასების 50-ზე მეტმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა, რომლებსაც, ფილმის პრეზენტაციის შემდეგ, ჰქონდათ საშუალება დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრება აღნიშნულ საკითხზე.

-გამოჩენილი ქართველი ებრაელი მწერლის, პოეტის, მთარგმნელის და პუბლიცისტის, საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის ვიცე-პრეზიდენტის, საქართველოს მწერალთა და თეატრალურ მოღვაწეთა კავშირების წევრის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, პარიზის ქართულ-ევოპული ინსტიტუტის ილია ჭავჭავაძის სახელობისა და ივანე მაჩაბლის სახელმწიფო პრემიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, სენაკის საამაყო შვილის - ჯემალ აჯიაშვილის დაბადებიდან 78 წლისთავს, მწერლის მშობლიურ ქალაქში ღონისძიებების კვირეული მიეძღვნა.

-20 მარტს, ჯემალ აჯიაშვილის მშობლიურ ჟიული შარტავას სახელობის მე-2 საჯარო სკოლაში, ჩატარდა ღონისძიება, რომელიც ქართველი და ებრაელი ერის უპრეცენდენტო მეგობრობის სიმბოლოს - ორი დიდი მამულიშვილის - ჟიული შარტავასა და ჯემალ აჯიაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებით მოღვაწეობას მიეძღვნა.

-21 მარტს, ქალაქის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, ასევე გაიმართა მწერლის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო და გამოფენა.

-22 მარტს, მისი სიყრმის მეგობრის, საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას მუზეუმში გაიმართა დიდი ქართველი ებრაელი მწერლისა და მოღვაწის საიუბილეო საღამო. მუზეუმის ფოიეში, ორი ერის საამაყო შვილის სურათების ფოტოგამოფენა უხმობდა დამთვალიერებელს, უკრავდა ვიოლინო... ჯემალ აჯიაშვილის ცხოვრების გზა, მისი ამაგი ორი, სისხლხორცეულად მშობლიური ერის კულტურის ისტორიაში, სენაკელ ებრაელთა და ქართველთა თანაცხოვრების ულამაზესი ისტორიის ფურცლები, მწერლის უთბილესი მოგონებები მშობლიურ ქალაქზე, მისი ღრმა, ,,ვეფხისტყაოსნითა'' და უძველესი ებრაული კულტურით ნასაზრდოები ყოვლისდამტევი შემოქმედება წარმოჩინდა დღეს გამომსვლელთა სიტყვებში, ეკრანზე გაცოცხლებულ დოკუმენტურ კადრებში, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრთან არსებული ახალგაზრდულ თეატრ ,,ფიროსმანის'' მსახიობების მიერ შთამბეჭდავად წარმოდგენილ ლიტერატურულ კომპოზიციაში. ჯემალ აჯიაშვილმა ებრაელთა დიდ პოეზიას ქართულ ენაზე ძეგლი დაუდგა. მთელი მისი ცხოვრება და მოღვაწეობა იყო ქართველი და ებრაელი ერის ურყევი მეგობრობისადმი მიძღვნილი ქართულ ენაზე აღვლენილი სიყვარულის უკვდავი საგალობელი. მისი ცხოვრება არის გზა, რომელიც სიკვდილის შემდეგაც არ თავდება და ახალ სიცოცხლეს იძენს... ნაკლების ნახვა

23 მარტს, ჯემალ აჯიაშვილის იუბილე, მისივე სახელობის სკვერში არსებული ბარელიეფის ყვავილებით შემკობით დაიწყო.

დიდი ქართველი ებრაელი მწერლისა და მოღვაწის საიუბილეო საღამო სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა.

საღამო, რუსული აგრესიის წინააღმდეგ გმირულად მებრძოლი უკრაინელი ხალხის მხარდაჭერისა და სოლიდარობის გზავნილით დაიწყო. დიდი ქართველი ებრაელი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ისაუბრეს: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ, თამარ მახარაშვილმა, სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, ჟურნალისტმა და კომენტატორმა, ჯამლეტ ხუხაშვილმა, ქართველ ებრაელთა ასოციაციის პრეზიდენტმა, მერაბ ჩანჩალაშვილმა, მწერალმა, ერეკლე საღლიანმა, რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტმა, დავით შემოქმედელმა, პოეტმა, ნანა ცინცაძემ, ჟურნალისტმა, ლეილა ნოდიამ, მწერალმა, ბორის დავითაიამ, ჟიული შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელმა, დამირ კუჭავამ.

ჯემალ აჯიაშვილის ცხოვრების გზა, მისი ამაგი ორი მშობლიური ერის კულტურის ისტორიაში, სენაკელ ებრაელთა და ქართველთა თანაცხოვრების ულამაზესი ისტორიის ფურცლები, მწერლის უთბილესი მოგონებები მშობლიურ ქალაქზე, ,,ვეფხისტყაოსნითა" და უძველესი ებრაული კულტურით ნასაზრდოები შემოქმედება წარმოჩინდა დღეს გამომსვლელთა სიტყვებში, ეკრანზე გაცოცხლებულ დოკუმენტურ კადრებში, მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეთა მიერ შთამბეჭდავად წარმოდგენილ ლიტერატურულ კომპოზიციაში.

- მ/წლის 15 მაისიდან 25 მაისის ჩათვლით ქ. სენაკში ტრადიციულად გაიმართა სენაკის რიგით მე-9 ხელოვნების ფესტივალი, რომელიც ტარდება საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, ილია II-ის პატრონაჟით და გამოჩენილი პიანისტის, ვალერიან შიუკაშვილის ორგანიზებით.

ფესტივალის ფარგლებში სენაკის სამუსიკო სკოლაში ჩატრადა სახელოვნებო და სამუსიკო სკოლების მოსწავლეთა ეროვნული კონკურსი. აღსანიშნავია, რომ გასულ წლებში აღნიშნულ კონკურსში მხოლოდ დასავლეთ საქართველოს სახელოვნებო და სამუსიკო სკოლების მოსწავლეები ღებულობდნენ მონაწილეობას. წელს კონკურსი გასცდა რეგიონის საზღვრებს და ეროვნული მაშტაბი შეიძინა.

კონკურსის პარალელურად, საღამოობით გაიმართა კლასიკური მუსიკის კონცერტები; ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეებმა კი ახალგაზრდებს ჩაუტარეს მასტერ-კლასები სხვადასხვა მიმართულებით.

აკ. ხორავას სახელობის სახელმწიფო პროფესიულ თეატრში კონცერტები გამართეს ოპერისა და კლასიკური მუსიკის თვასაჩინო წარმომადგენლებმა: ოპერის მომღერალმა- ნატალია ქუთათელაძემ, პიანისტებმა: ვალერიან შიუკაშვილმა, დათუნა ალადაშვილმა, მიხეილ ოთარაშვილმა, ოპერის მომღერალმა -ირაკლი ფხალაძემ.

საკონცერტო ნაწილის ერთი დღე დაეთმო მოსწავლე-ახალგაზრდებს და მათ წინაშე წარსდგნენ საზოგადოებრივი მაუწყებლის საბავშვო მუსიკალური კონკურსის ,,რანინას" 2022 წლის ფინალისტები.

სენაკის სამუსიკო სკოლაში მასტერ-კლასები ჩაატარეს: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი ნათია ქავთარაძემ; გამოჩენილმა გიტარისტმა, ტარიელ სუარმა; მსხაიობმა: თათული ედიშერაშვილმა და თამარ ნიკოლაძემ.

ფესტივალი დაიხურა გალა კონცერტით, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კონკურსის შედეგად, საქართველოს მაშტაბით გამოვლენილმა ლაურეატებმა.

- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის მიერ ორგანიზებული აქტივობები. სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების ჩართულობით, კოლხურის ოდის მიმდებარე ტერიტორიაზე, საბავშვო და ბაგა-ბაღების აღსაზრდელთა ნამუშევრების გამოფენა გაიმართა.

გამოფენის შემდეგ, მოეწყო კოსტუმირებული მსვლელობა წითელ ხალიჩაზე.

ღონისძიება დასრულდა გალა კონცერტით მუნიციპალიტეტის საბავშვო და ბაგა-ბაღების აღსაზრდელებისა და პედაგოგების მონაწილეობით აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში.

- 17 ივნისს, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების სენაკის ორგანიზაციის ორგანიზებითა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ,,ვეფხისტყაოსნის“ საჯაროდ კითხვის მარათონი გაიმართა.
სენაკის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ამფითეატრში გამართულ მარათონში მონაწილეობა მიიღეს N1, N2, N3, N7, მენჯის საჯარო სკოლებისა და წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებული სკოლა-გიმნაზიის და კერძო სკოლა ლიცეუმის მოსწავლეებმა და პედაგოგებმა. ღონისძიებას მუსიკალურად ანსამბლი ,,მუსიკელი“ აფორმებდა. ,,ვეფხისტყაოსნის“ საჯაროდ კითხვის მარათონის ფარგლებში, სენაკის საჯარო ბიბლიოთეკაში, გაიმართა კონკურსი კალიგრაფიაში - ,,ჩვენ ვკითხულობთ ვეფხისტყაოსანს", რომელშიაც გაიმარჯვა მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლელენე გვაძაბიამ. ჟიურის სიმპათია კი მე-7 საჯარო სკოლის მოსწავლემ გიორგი კანკიამ დაიმსახურა. დასასრულს, მონაწილეებთან ერთად, ყველა მსურველს ჰქონდა შესაძლებლობა, შეერთებოდა ,,ვეფხისტყაოსნის" საჯარო კითხვის მარათონს და წაეკითხა ნაწყვეტები ,,ვეფხისტყაოსნიდან“.

-სენაკის აკაკი ხორავას სახელობის დრამატულ თეატრში გაიმართა ქრთული ესტრადის გამორჩეული ჯგუფის ,, ფორტეს“ კონცერტი .

-საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით 26 მაისს სხვადასხვა აქტივობები გაიმართა. ცენტრალურ მოედანზე მოეწყო სამხედრო ტექნიკის გამოფენა , მთელი დღის განმავლობაში მოსახლეობას ქონდა საშუალება აღნიშნული ტექნიკის დათვალიერების. ქალაქის ცენტრალურ პარკში მოეწყო სვხვადასვა სპორტული, საჩვენებელი და გასართობი აქტივობები ახალგაზრდებისათვის, ასევე თეატრის წინ შესრულდა რამოდენიმე ქორეოგრაფიული ნომერი ანსამბლ ,, მეგას“ შესრულებით. ყოფილი იპოდრომის ტერიტორიაზე საცხენოსნო კლუბის მხარდაჭერით მოეწყო საცხენოსნო, საჩვენებელი შეჯიბრება. დღის ბოლოს ცენტრალურ მოედანზე ჩატარდა მაკა ზამბახიძეს და ჯგუფი ,,ნონ სტოპის „ კონცერტი , რომელიც ფოიერვერკით დასრულდა.

-ივნისში აკაკი ხორავას სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა მურმან ჯინორიას საავტორო საღამო ,ლაშა ღლონტის და დავით არჩვაძეს კონცერტი .

- ჩატარდა პაატა გულიაშვილის სოლო კონცერტი.

-სამსახურის მიერ მოხდა აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში დადგმული პრემიერების ,, ჰარპაგონი“ და ,, საშობაო ზღაპარი“ - ს თანადაფინანსება .

-მოხერხდა გამოჩენილი სენაკელი მხატვრის ბატონი რეზო ადამიას მხარდაჭერა ინგლისში გამოფენაში მონაწილეობისათვის .

-აგვისტოში ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ,,ღამის შოუ“-ს ბენდის კონცერტი გაიმართა.

- 2 აგვისტოს რეგიონული თეატრების VIII საერთაშორისო ფესტივალი, რომელიც საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, სენაკის მუნიციპალიტეტისა და ფოთის მერიების მხარდაჭერით იმართება, აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო პროფესიულ დრამატულ თეატრში საზეიმოდ გაიხსნა.
საღამოს, რომელიც ფესტივალის დირექტორმა, თენგიზ ხუხიამ გახსნა და ფესტივალის ღონისძიებების მენეჯერი, თბილისის ახალგაზრდული კაპელის მთავარი დირიჟორი, შიო აბრახამია უძღვებოდა, ფესტივალის გახსნისადმი მიძღვნილი ღონისძიება ფოთის, სენაკისა და თელავის თეატრალური დასების მსახიობებს დაეთმო. ფესტივალის მეორე დღეს, სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში, მასპინძელი თეატრის დასის სპექტაკლი - ,,ჰარპაგონის“ ჩვენება გაიმართა. ფესტივალში, რომლის საფესტივალო პროგრამა ძირითადად ომის თემატიკას მიეძღვნა, წელს მონაწილეობა 13 ქართულმა და უცხოურმა თეატრალური დასმა მიიღო მონაწილეობა. ფესტივალის წლევანდელი გზავნილია არა ომს რეგიონული თეატრების საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზატორია კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი ,,დღეს”. სამხატვრო ხელმძღვანელი – ნინელი ჭანკვეტაძე, დირექტორი – თენგიზ ხუხია.
-3წლიანი წყვეტის შემდეგ შაორში ახალგაზრდული ბანაკი გაიხსნა რაჭაში, შაორის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე, ახალგაზრდული ბანაკის მე -2 ნაკადში 6 სენაკელი ახალგაზრდა ღებულობს მონაწიელობას, რაც სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით განსაკუთრებით მაშტაბურია. მნიშვნელოვანია, რომ საბანაკე პროგრამით გათვალისწინებული აქტივობები ხორციელდება არაფორმალური განათლების მეთოდოლოგიით და მორგებულია ახალგაზრდების ინტერესებსა და საჭიროებებზე.
ბანაკის ფარგლებში ახალგაზრდებმა გამართეს: ინტერაქტიულ საგანმანათლებლო შეხვედრებს, კულტურულ-შემოქმედებით ღონისძიებებს, მოწვეულ სტუმრებთან არაფორმალურ გარემოში შეხვედრებს, სპორტულ ოლიმპიადასა და ტურნირებს. აღნიშნული აქტივობები მიზნად ისახავს ისეთი მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევას, როგორიცაა: სოციალური ინტეგრაცია და ინკლუზია, ახალგაზრდებისათვის აქტიური დასვენების ხელმისაწვდომობა, არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობა, ფიზიკური და ინტელექტუალური პოტენციალის გამოვლენის ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და დამკვიდრების ხელშეწყობა, ეროვნული და ევროპული ღირებულებების დამკვიდრების ხელშეწყობა, პატრიოტული ღირებულებების წახალისება. ახალგაზრდების განვითარების ინტერესებში ბანაკების მართვა კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.
- მ/წლის 7 სექტემბერს, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, 100%-იანი გრანტის მფლობელ წარმატებულ სენაკელ კურსდამთავრებულებს, ასევე, საჯარო და კერძო სკოლების დირექტორებს შეხვდა.
2022 წლის ეროვნულ გამოცდებზე 100%-იანი დაფინანსების გრანტი მოიპოვეს საჯარო და კერძო სკოლების კურსდამთავრებულებმა: გიორგი გეგენავამ, გვანცა კუპრეიშვილმა, ტატო ალანიამ, ცოტნე ეჯიბიამ, გიგი ყურაშვილმა, თამარ ალანიამ, თამარ დადიანმა, ნინო გაბელიამ, ლიზი კოკაიამ, ანდრია ხარბედიამ, გოგა წოწერიამ, დათო შონიამ, ლიზი ღვინჯილიამ, კესო ტყებუჩავამ. მუნიციპალიტეტის მერმა, ახალგაზრდებს, რომლებმაც ეროვნულ გამოცდებზე საუკეთესო შედეგები აჩვენეს, მოპოვებული წარმატებები მიულოცა და ერთჯერადი ფულადი ჯილდოები გადასცა.

-გიორგი ჩიტაიას სახელობის თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმმა ,,თბილისობა 2022-ს" უმასპინძლა. სენაკის კუთხემ ყველა ასაკის დამთვალიერებლისთვის საინტერესო და მრავალფეროვანი ღონისძიებები წარმოადგინა; გაცოცხლდა სამეგრელოს კუთხის ყოფა-ცხოვრება, ოჯახური რიტუალები, ლხინის, მოსავლის აღება-დაბინავების სცენები, წარმოდგენილი იყო პერფორმანსები, ტრადიციული მეგრული სამზარეულო, ადგილობრივ მეწარმეთა პროდუქცია, ხალხური რეწვის ნიმუშები. ღონისძიების ფარგლებში, ეთნოგრაფიული მუზეუმის ამფითეატრში ფოლკლორულ ანსამბლთა კონცერტი გაიმართა. თბილისქალაქობის სახალხო დღესასწაულზე მონაწილეობა მიიღეს ფოლკლორულმა ანსამბლებმა - ,,კოლხურმა ტრიომ", ,,მუსიკელმა", ,, გოგალაიმ", სახალხო ქორეოგრაფიულ ანსამბლ ,,კუჩხიბედინერის" მოცეკვავეებმა, სენაკელმა მეწარმეებმა.

- 5 ოქტომბერს, აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე, ვახტან ტატიშვილთან და ნუგზარ კვაშალთან ერთად, მაყურებლის წინაშე წარდგნენ ცნობილი ქართველი მომღერლები: ბესიკ კალანდაძე, მაკა ქაჯაია და ზურა კობეშავიძე. კონცერტში მონაწილეობა ასევე მიიღეს ადგილობრივმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა: ,,კუჩხიბედინერი", ,,სენაკი''; ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის ფოლკლორულმა ანსამბლებმა: ,,მორდუ" და გოგალაი"; ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის ავთანდილ გოგოტიშვილის სახელობის გაერთიანებულმა გუნდმა.

მრავალფეროვანი საკონცერტო საღამო ადგილობრივ პედაგოგებს მიეძღვნა.

-13 ოქტომბერს სენაკის, სამუსიკო სკოლის, სულხან ცინცაძის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების VI ეროვნული კონკურსის პირველი ტური ჩატარდა, რომელშიც მობ˜ნაწილოებას ღებულობდნენს სახელოვნებო სკოლისა და საჯარო სკოლების გუნდებისა და ანსამბლების შემსრულებლები. კონკურსს აფასებდა საქართველოს საგუნდო საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორი, ეროვნული საგუნდო კონკურსის დირექტორი, დირიჟორი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, მიხეილ ედიშერაშვილი და საქართველოს საგუნდო საზოგადოების სამეგრელოს ფილიალის ხელმძღვანელი, ეროვნული კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, დირიჟორი, მუსიკოლოგი, შიო აბრახამია.

- 22 ოქტომბერს, სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში, შედგა პრემიერა უპეცედენტო პროექტისა - ,,განდეგილი'', რომელიც ილია ჭავჭავაძის 185 წლის იუბილეს მიეძღვნა. სპექტაკლი წარმოადგინა ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიულმა სახელმწიფო თეატრმა და გორის ქალთა კამერულმა გუნდმა, თეონა ცირამუას ხელმძღვანელობით.

მაღალმხატვრული ორიგინალობით გამორჩეულ სპექტაკლში, ილიას უკვდავი სტრიქონებისა და ქალთა კამერული გუნდის შესრულებით - მუსიკის ჰარმონიული სინთეზით, დრამატული სიმძაფრით გაცოცხლდა განდეგილისა და დაცარიელებული ბეთლემის ტრაგედია...

- 20 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულს მიეძღვნა სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროექტის - ,,ქართული მუსიკა რეგიონებს“ ფარგლებში გამართული ქართული სიმღერის საღამო. დასკვნითი საღამო - ცნობილი ქართველი შემსრულებლების: ნეკა სებისკვერაძის, დავით ნოზაძის, აჩიკო ნიჟარაძის, ნათია პერანიძის, პიანისტების - ნინო გულიაშვილის, მარიკა ოსიტაშვილისა და საღამოს წამყვანის - ნიკოლოზ წულუკიძის მონაწილეობით ჩატარდა.

-23 დეკემბერს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ნოქალაქევის ციხე-გოჯში, საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი ,,ერისიონი” მაყურებლის წინაშე განახლებული შოუ-პროგრამით ,,ქართული საგანძური" წარდგა. წინასაახალწლოდ ამაღლებული განწყობის შესაქმნელად, ანსამბლის შემსრულებლებმა, ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხის, ათასწლეულებში გამოტარებული ხალხური პროფესიული შემოქმედების შედევრები გააცოცხლეს.

-25 დეკემბერს საზეიმოდ აინთო ქალაქის ნაძვისხე. ქალაქის ცენტრალურ მოედანზე მოეწყო საბავშვო სივრცე, გაიმართა ანიმატორების შოუ და ჯგუფ ,,გუფი ლენდის" კონცერტი.

- 27 დეკემბერს სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში, მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ვირტუოზი გიტარისტის, კომპოზიტორის, მომღერლის,

არანჟირების ავტორის, ღირსების ორდენის კავალერის, თბილისის საპატიო მოქალაქის, თემურ ყვითელაშვილის სოლო კონცერტი გაიმართა.

- 29 დეკემბერს, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე გაიმართა საახალწლო ბაზრობა - ადგილობრივი ნაწარმის, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა; კონცერტი - სენაკის, ფოთის და აბაშის მუნიციპალიტეტების ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ანსამბლების მონაწილეობით; გალა კონცერტი - ბენდის ,,აკუსტიკა", მომღერლების - ბოკა კვეკვესკირისა და ლაშა თოლორდავას მონაწილეობით; შოუს წამყვანი - გიორგი ჭანტურია;

-31 დეკემბერს გაიმართა საახალწლო კონცერი სოფო ბედიას, დუეტი ლეონის , მაგდა ვასაძის და მისი ბენდის მონაწილეობით.

გადაიდგა პირველი ნაბიჯები ახალგაზრდული საბჭოს შესაქმნელად, ასევე გააქტიურდა მუშაობა სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან , რომლებიც საქმიანობენ აღნიშნული მიმართულებით .

- ნოემბერში ეგრისობის ღონისძიებებისათვის შეძენილ იქნა 20 წყვილი ფარხმალი ქორეოგრაფებისათვის , რომელიც შემდგომ მოსწავლე ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრს გადაეცა.
- დეკემბერში ეკონომიის თანხებიდან ხელოვნების ცენტრისთვის შეძენილ იქნა მუსიკალური ინსტრუმენტები (ჩელო, ვიოლინო, გიტარა , ფლეიტა) .